№2559 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

შპს „აბკ სტუდიის“ მხარდასაჭერად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი ღონისძიების განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს „აბკ სტუდიის“ მიერ მხატვრული ფილმის „მძევლების“ გადაღების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განახორციელოს შპს „აბკ სტუდიისათვის“ (ს/კ: №204395831) სათანადო დახმარების გაწევა და 7 (შვიდი) დღის ვადით, შპს „აბკ სტუდიის“ მიერ 1262.07 (ათას ორას სამოცდაორი ლარი და შვიდი თეთრი) ლარის სანაცვლოდ (მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, მიმღების ანგარიში: 200122900, სახაზინო კოდი: 302006500), დანართით განსაზღვრული რესურსებით უზრუნველყოფა და 200 (ორასი) სამხედრო მოსამსახურით მხარდაჭერა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2015 წლის 27 ნოემბრის
№ 2559 განკარგულების

დანართი

1. ავტომატი კალაშნიკოვი (აკმ/აკს)-100 (ასი) ცალი;
2. ავტომანქანა "კრაზი" - 2 (ორი) ერთეული.